შპს “სიტი ემ”

(საინდეტიფიკაციო კოდი 204497295)

2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი:

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგების შესახებ:

1. ზოგადი ინფორმაცია

– შპს "სიტი ემ" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 იანვარს, რეგისტრაციის №2637/005 და მდებარეობს საქართველოში.

– იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი №4, ბ13

– ადგილსამყოფელი: საქართველო, ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის №3

– კომპანიის დირექტორი: გოჩა გვენეტაძე პ.ნ 21001012687

– საწესდებო კაპიტალი შეადგენს 12 362 723 ლარს.

– საიდენტიფიკაციო კოდი: 204497295, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზურაბ ღიბრაძე (პ.ნ 21001005283).

– საზოგადოების ძირითად საქმიანობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენდა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, კომპანია გეგმავს სასტუმროს ფუნქციონირების დაწყებას 2019 წლის მეორე კვარტალში.

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

– კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

– კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

– კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

– აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორის სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყო ფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა- ფარგლებში).

3. ოპერაციები ვალუტაში

_ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი.

–ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

4. სავაჭრო მოთხოვნები

– გადახდები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

5. სასაქონლო- მატერიალური მარაგები

– სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

– სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;

– სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“.

6. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

7. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

– შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს.

– ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

8. სხვა აქტივების აღრიცხვა

– მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;

– სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

9. საწვავის აღრიცხვა

–ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით, პლასტიკური ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება განცალკევებულად სხვა

მიმდინარე აქტივების ანგარიშზე. ტალონები ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.

– საწვავი ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

– ტექნოლოგიური დანიშნულებისათვის საწვავი შეისყიდება და განთავსდება რეზერვუარში. მისი ჩამოწერა ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯვის ოდენობით, აქტის საფუძველზე.

10. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

– მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;

–სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

11. სესხები

– სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

– სესხების საპროცენტო ხარჯები აღიარდება საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

12. მოთხოვნების აღრიცხვა

– მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამოჯნულად;

13. ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

14. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

– კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებიტ განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის საკუთრების უფლებების ცვლილება) მხოლოდ კომპანიის გადაწყვეტილებით ხდება.

– კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

15. ამონაგების აღიარება

– შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

16. მოგების აღიარება

– მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დამატებული ღირებულების გადასახადი

– კომპანიის მიერ გაყიდვების / მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დ.ღ.გ. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

18. ხარჯების აღრიცხვა

– ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

19. მოგება-ზარალი:

– წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

– დივიდენდების გასაცემად;

– საწარმოს რეინვესტირებისათვის;

20. მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად.

დასახელება	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
ნაღდი ფული სალაროში	10 864	48	13
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	531 575	513 804	755 264
სულ ფულადი სახსრები:	542 439	513 852	755 277

გრძელვადიანი სესხი

დასახელება	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საქართველოს ბანკი	17 772 851.61	20 831 033	13 814 476
დამფუძნებელი	46 447 351	38 412 935	35 572 018
სულ ჯამი:	64 220 202.61	59 243 968	49 386 494

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18	ნაშთი 31.12.17
მიწა	1 746	1 746	1 746
შენობა-ნაგებიბები	0	44 149	44 149
მანქანა დანადგარები	1 448 658.56	371 612	175 365
ოფისის აღჭურვილობა	253 694.36	28 126	28 126
ავეჯი და სხვა ინვენტარი	95 975	72 340	43 459
სასტუმროს ძირითადი საშუალება	4 762 550	3 491 573	41 176
დაუმთავრებელი მშენებლობა	37 762 387	35 913 609	25 913 470
სულ ჯამი:	44 325 010.92	39 923 155	26 247 491

ცვეთა	ნაშთი 31.12.19	ნაშთი 31.12.18	ნაშთი 31.12.17
შენობა-ნაგებიბები	0	8 499	8 499
მანქანა დანადგარები	107 936	96 282	78 851
ოფისის აღჭურვილობა	28 826	25 903	22 249
ავეჯი და სხვა ინვენტარი	442 330.93	9601	7 803
სულ ჯამი:	579 092.93	140 284	117 402